<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 18 სექტემბრის N2660-Iს კანონში (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, 02/10/2014წ., სარეგისტრაციო კოდი - 020000000.05.001.017507) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42^1 და 42^2 მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე–44^3, 44^5, 44^7–44^{12}, 45-ე–46^1, 48-ე, 49-ე, 50^1–55^4, 56-ე, 57-ე–59-ე, 59^2, 59^3, მე-60, 60^3, 61-ე, 61^1, 63-ე, 63^1–65-ე, 66-ე–69-ე, 71-ე, 71^1, 72^1–78-ე, 79^1–82^2, 84-ე–86-ე, 87^1–87^3, 88-ე–89^3, 91^2, 94-ე, 95-ე, 99-ე, 100^1, 100^2, 103^1, 104-ე და 105^1 მუხლებით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 128^1–128^5, 143-ე, 144-ე, 144^{10}, 145-ე, 146^1, 148-ე, 150-ე–151-ე, 152-ე, 152^2–153^1 და 153^3–153^5 მუხლებით, 153^6 მუხლის მე-2 ნაწილით, 154-ე–154^2, 155^1–156-ე, 157^1–158^1, 159-ე–159^1, 159^4–159^{10}, 163-ე, 164-ე, 164^4, 165^1–165^3, 166-ე და 167-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 171^1, 172-ე, 172^4-172^6, 173-ე, 173^4–173^7, 173^9, 173^{12} და 174^1 მუხლებით, 174^{15} მუხლის მე-4 ნაწილით, 175^1, 175^2, 177^8, 177^9, 177^{11}, 178-ე, 179^1–179^3, 180-ე და 181-ე მუხლებით, 181^1 მუხლის მე-2 ნაწილით, 182-ე, 183-ე, 187-ე–187^2, 189-ე, 192-ე, 195-ე, 196^3, 196^6, 197^1 და 197^2 მუხლებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*